პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 102 (1584) ○ კვირა, 28 აგვისტო, 1960 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი ○ ფასი 30 კაპ.

დღეს ნომერში:

✦ 1966 წლის მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

✦ მინსკის ზონალური სპარტაკიადა მოგებულია

✦ „შრომითი რეზერვების" სპორტული კოლექტივების გამარჯვება

✦ რომის ოლიმპიადის გახსნა და შეჯიბრების მიმდინარეობა

## დღეს ოლიმპიადაზე დასვენების დღეა

# რომის ოლიმპიადა

# XVII

ათასობით რომაელმა გაათენა ის ღამე თეთრად კაპიტოლიუმის წინ, მარკ აურელიუსის მონუმენტური ძეგლის გარშემო. ოლიმპიური ცეცხლი სამხრეთიდან მოდიოდა და მისი გადაცემა კაპიტოლიუმის ძუძგელთან უნდა მომხდარიყო. ზღვა ხალხი ელოდა ოლიმპიური ჩირაღდნის შემოსვლას ქალაქში და კიდევ უფრო მეტი „ფორო იტალიკოს" სტადიონზე. არასდროს არ ყოფილა ასე საზეიმოთ მორთული რომი, არასდროს არ ყოფილა ასეთ სადღესასწაულო მოლოდინში იტალიის ყველაზე დიდებული სტადიონი.

ტემპერატურამ 38 გრადუსს მიაღწია ცელსიუსით. ასეთი სიცხე ქალაქში ჩვეულებრივია, მაგრამ რომაელებს ათასგვარი საშუალებები აქვთ მის საწინააღმდეგოდ. დღეს სიცხის არავის ეშინია. მოხუცები და ახალგაზრდები ქალები და ბავშვები არაჩვეულებრივი სიმტკიცით იტანენ აგვისტოს მცხუნვარე მზეს და უდარდელი ღიმილით გაჰყურებენ სტადიონის მწვანე მინდორს, რომელზეც რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა დაიწყოს სპორტის ისტორიაში ყველაზე დიდი ღონისძიება — ოლიმპიური თამაშები.

საათის ისარი ნელ-ნელა უახლოვდება ექვსს. ჰაერს აპობს ლითონის საყვირების მჭახე გამოძახილი. წამიც და... დაიწყება ოლიმპიური თამაშების საზეიმო მარშ-პარადის დიდებული სანახაობა. პარადს ხსნის საბერძნეთის სპორტსმენთა დელეგაცია. ამაყად მოაქვთ დროშა იმ ქვეყნების წარგზავნილებს, რომლებმაც მსოფლიოს აჩუქეს თავისი ყველაზე უფრო ლამაზი და ძვირფასი ტრადიცია. მოდიან ავსტრალიის, ბულგარეთის, ბირმის, უნგრეთის, დიდი ბრიტანეთის სპორტსმენთა დელეგაციები. ლათინური ალფაბეტის მიხედვით ისინი მწყობრი ნაბიჯებით შემოდიან ცენტრალური ტრიბუნის გასწვრივ და შემდეგ იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს, მაყურებლები გულთბილად ხვდებიან ყოველი ახალი დელეგაციის გამოჩენას.

ტრიბუნების ერთსულოვანი ტაშის ხმაურზე შემოდის საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა დელეგაცია. იგი ბევრი ნიშნით გამოირჩევა სხვა დელეგაციებისაგან — ყველაზე ხალხმრავალი რიგები მწყობრი მტკიცე ნაბიჯებით უახლოვდებიან მთავარ ლოჟას, რომელშიც იმყოფებიან საპატიო სტუმრები, ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები და იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი. საბჭოთა კავშირის დელეგაციას წინ მიუძღვის შესანიშნავი ძალოსანი და ყველაზე ღონიერი ადამიანი მსოფლიოში ი. ვლასოვი. მას გამართულ ხელში ამაყად უკავია სოციალისტური ქვეყნის წითელი დროშა.

მაყურებელთა მხურვალე ტაში არ ცხრება. ტრიბუნებს უახლოვდებიან ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, საფრანგეთის დელეგაციები და, აი ახალი ოვაციის უჩვეულო ტალღა მფარავს სტადიონს. ხალხი გულთბილად ხვდება თავის თანამემამულეებს, რომლებიც ხურავენ საზეიმო აღლუმს.

ყოველი წუთი, ყოველი წამი რაღაც ახალი სანახაობის დაწყებას ნიშნავს. აი დაამთავრა თავისი მოკლე მისასალმებელი სიტყვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ევერი ბრენდეჯმა და მიკროფონთან მიდის იტალიის პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი...

...სარბენ ბილიკზე შემოდის სპორტსმენთა ერთი ჯგუფი. იგი სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეროვნების, ფერის და რწმენის ადამიანთაგანაა შემდგარი. მათ გამართულ ხელებზე მოაქვთ საპატიო ოლიმპიური ალამი, რომელიც თამაშების დამთავრების შემდეგ ოთხი წლით დაბინავდება რომში, ვიდრე მას არ წაიღებენ მომავალ ოლიმპიური თამაშების ქალაქში — ტოკიოში.

იტალიელი კარაბინერების ორკესტრი ასრულებს ოლიმპიურ ჰიმნს, რომელსაც ცვლის საარტილერიო ზალპების ხმაური. უეცრად ცა „ფორო იტალიკოს" თავზე ბნელდება. 10 ათასი მტრედი ერთად აიჭრა ჰაერში. რომის ყველა ეკლესიის ზარების ერთობლივმა გრიალმა სტადიონზე შეკრებილთ ოლიმპიური ჩირაღდნის მოახლოვება აუწყა.. იგი სულ ახლოსაა, მეზობელ ქუჩაზე, სტადიონის ტერიტორიაზე, და აი ბილიკზე შემორბის 19 წლის რომაელი სტუდენტი, იტალიის რეკორდსმენი 1.000 მეტრზე რბენაში ჯან კარლოს პერესი. იგი უახლოვდება ოლიმპიური კოცონის კვარცხლბეკს და ანთებს ოლიმპიურ ცეცხლს.



ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე დელეგაციები მოეწყვნენ ცენტრალური ტრიბუნის წინ. იწყება საზეიმო ცერემონიალის უკანასკნელი პროცედურა — ოლიმპიური ფიცისდება. მიკროფონთან გამოდის პოპულარული იტალიელი მძლეოსანი, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ადოლფო კონსოლინი. „ყველა სპორტსმენის სახელით ვფიცავთ, რომ პატივს ვცემთ და დავიცავთ ოლიმპიურ წესებს, პატიოსნად შევეჯიბრებით ერთმანეთს, შევინარჩუნებთ სპორტულ სულს. ყოველი ჩვენთაგანი იბრძოლებს თავისი ქვეყნის სადიდებლად, სპორტის სასახელოდ"...

ოლიმპიური თამაშები გაიხსნა!

ოლიმპიურ რომში ფართო გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმებამ. საერთო აზრით ეს მისალმება დიდ სამსახურს გაუწევს ოლიმპიური იდეების განხორციელების საქმეს. ცნობილმა ჩეხმა მძლეოსანმა ირჟი სკობლამ განაცხადა — „ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება მშვიდობის ჰიმნად გაისმა ოლიმპიურ ქალაქში და მან მეტი რწმენა და იმედი შემატა მსოფლიოს ხალხებს".

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირის მეთაურის სიტყვებს იტალიის გაზეთები. მათი აზრით ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმებამ კარგი ტონი მისცა ოლიმპიურ თამაშებს. პატიოსანი შეჯიბრება გარემოცული დიდი ჰუმანური იდეებით არის ყველა სპორტსმენის სანუკვარი ოცნება. დიდი მადლობა ნ. ს. ხრუშჩოვს, რომლის მოწოდებამ ხელი შეუწყო ამ ოცნების ხორცშესხმას.

# XVII

## ქვეჯგუფებში ბრძოლა მიმდინარეობს

საბჭოთა კალათბურთელებისათვის მელბურნის კენჭისყრა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე რომისა. ოთხი წლის წინ ჩვენს სპორტსმენებს ქვეჯგუფში ბრძოლა მოუხდათ საფრანგეთისა და კანადის გუნდებთან. წელს კი ჩვენი ნაკრები გუნდი გაცილებით ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდა. საკმარისია ითქვას, რომ ფინალში გასვლისათვის საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად იბრძვიან მსოფლიოს ოფიციალური ჩემპიონები — ბრაზილიელი კალათბურთელები. არის კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც დასაწყისში არავინ აქცევდა ყურადღებას, მაგრამ მან საკმარისად „გააწვალა" ფავორიტი № 1 — საბჭოთა კავშირის ნაკრები. ლაპარაკია მექსიკის კოლექტივზე, რომელიც პირველ ტურში ჩვენს გუნდს შეხვდა.

შეხვედრის პირველი წუთები ზუსტად გრაფიკის მიხედვით წარიმართა. ჩვენმა ხუთეულმა გახსნა ანგარიში და დამაჯერებლად იწყო ლიდერობა — 4:0, 6:3, 8:3. პირველმა წარმატებამ, როგორც ჩანს, საბჭოთა კალათბურთელების სიფხიზლე მოადუნა, რაც კარგად გამოიყენეს მექსიკელებმა. მათ შეამცირეს ანგარიშში განსხვავება (11:9) და მე-9 წუთზე თამაში გაათანაბრდა — 11:11.

საჭირო გახდა ყველაფრის თავიდან დაწყება. მოედანზე გამოვიდა საბრძოლო ხუთეული, რომელმაც მექსიკელთა კალათის ენერგიული შტურმი წამოიწყო. ანგარიშმა კვლავ იწყო შეცვლა ჩვენი გუნდის სასარგებლოდ და პირველი ნახევარი დამთავრდა 28:17.

მეორე ტაიმში საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობა აშკარა იყო. მან შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა და გაიმარჯვა — 66:49. იტალიის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა გუნდის დებიუტს და ამავე დროს აღნიშნავს, რომ მან ბოლომდე არ გახსნა თავისი შესაძლებლობები. პირველ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია საბჭოთა გიგანტს კრუმინშს. იგი, როგორც ჩანს, მწვრთნელებმა ბრაზილიელებისათვის შემოინახეს. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა უგრეხელიძის თამაშმა.

დანარჩენი შეხვედრებიდან აღსანიშნავია უნგრელი სპორტსმენების გამარჯვება. მათ ანგარიშით 93:66 დაამარცხეს იაპონელი კალათბურთელები. ჩეხოსლოვაკიამ მოუგო საფრანგეთს — 56:53, იუგოსლავიამ — ბულგარეთს—67:62, აშშ-მ — იტალიას — 88:54, ბრაზილიამ — პუერტო-რიკოს.

ქვემოთ მოგვყავს კალათბურთელთა ტურნირის ქვეჯგუფების შემადგენლობა კენჭისყრის შემდეგ. პირველი ქვეჯგუფი — აშშ, იტალია, იაპონია, უნგრეთი, II ქვეჯგუფი — საფრანგეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, III ქვეჯგუფი — სსრკ, ბრაზილია, პუერტო-რიკო, მექსიკა, IV ქვეჯგუფი — ურუგვაი, ფილიპინები, ესპანეთი, პოლონეთი.

## საბჭოთა წყალბურთელები ფინალში

„სტადიო დელ ნიოტის" საცურაო აუზში დაიწყო წყალბურთელთა ტურნირი. საბჭოთა კავშირის გუნდი მეორე ქვეჯგუფში გამოდის. მასთან ერთად ფინალში გასვლისათვის იბრძვიან გერმანელი, არგენტინელი და ბრაზილიელი წყალბურთელები. პირველ ქვეჯგუ-

(დასასრული მე-2 გვ.)

# რომი XVII რომი

(დასასრული)

ფში კენჭისყრის შედეგად მოხვდნენ: იტალია, რუმინეთი, იაპონია და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. მესამე ქვეჯგუფში — იუგოსლავია, ჰოლანდია, სამხრეთ აფრიკის კავშირი და ავსტრალია. მეოთხე ქვეჯგუფში — უნგრეთი, აშშ, ბელგია და საფრანგეთი.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველმა მატჩმა გერმანიის გაერთიანებულ გუნდთან. მეორე წუთზე ჩვენი წყალბურთელების ორგანიზებული შეტევა ძლიერი და ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა კურენოიმ. ერთი წუთის შემდეგ იგივე კურენოის კიდევ ერთი ბურთი გააქვს მოწინააღმდეგის კარში — 2:0. საბჭოთა წყალბურთელების უპირატესობა აშკარა ხდება. ტაიმის დამთავრებამდე ჩვენი გუნდი ანგარიშს ოთხამდე ზრდის. გერმანელი სპორტსმენები კი აგდებენ მხოლოდ ერთ ბურთს 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან.

მეორე ნახევარში სურათი მკვეთრად შეიცვალა. გერმანელმა სპორტსმენებმა შეძლეს ძალების მობილიზება და ინიციატივის ხელში აღება. მალე მათ გააქვთ მეორე ბურთი საბჭოთა გუნდის კარში, რასაც ჩვენი სპორტსმენები იმავე წამს გოლით პასუხობენ. ინიციატივა კვლავ გერმანელების მხარესაა. ისინი გამუდმებით უტევენ საბჭოთა ნაკრების კარს, რომელსაც იცავს ბ. გოიხმანი. რამდენიმეჯერ ბურთი ხვდება ჩვენს ძელს. შეხვედრის დამთავრებამდე გოიხმანს კიდევ ორჯერ გამოაქვს ბურთი თავისი კარიდან. მატჩი მოიგეს საბჭოთა წყალბურთელებმა მინიმალური ანგარიშით — 5:4.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: იუგოსლავია-პოლონეთი — 2:1, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა-იაპონია — 3:3, იტალია-რუმინეთი — 4:3, სამხრეთ აფრიკის კავშირი-ავსტრალია — 3:2, ბრაზილია-არგენტინა — 2:2.

მეორე შეხვედრა საბჭოთა კავშირის ნაკრებს არგენტინის გუნდთან ჰქონდა. მატჩი მოიგეს ჩვენმა წყალბურთელებმა — 7:4. ამრიგად, საბჭოთა გუნდმა უკვე გაინაღდა ფინალში მონაწილეობის უფლება. ასეთსავე მდგომარეობაში არიან იუგოსლავიისა და იტალიის კოლექტივები.

რომში ჩვენს ველოსიპედისტებს ერთგვარი წინსვლა დაეტყოთ. ასე მაგალითად, სპრინტერულ რბოლაში ვასილიევი მერვედფინალში გავიდა. კიდევ უკეთ გამოვიდნენ საბჭოთა ველოსიპედისტები ტანდემებით შეჯიბრებაში. ვასილიევი და ლეონოვი მეოთხედფინალში მოხვდნენ.

თავი გამოიჩინა საბჭოთა კავშირის 11 გზის ჩემპიონმა ვარგაშკინმა 1000 მეტრზე გიტში ადგილიდან. მან შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა და პირველმა საბჭოთა სპორტსმენებს შორის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

გაიმართა აგრეთვე საგზატკეცილო გუნდური რბოლა 100 კილომეტრზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების კოლექტივებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი ველოსპორტის ამ სახეობაში მოიპოვა იტალიის გუნდმა. მას გადაეცა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი. მეორე ადგილზე გამოვიდა გერმანიის გუნდი, ხოლო მესამეზე — საბჭოთა კავშირის ნაკრები. ამრიგად, ჩვენმა ველოსიპედისტებმა უკვე ორი ოლიმპიური მედალი მოიპოვეს.

## ბრინჯაოს მედლები

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ველოსიპედისტებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო სარბიელზე. ამის მიუხედავად, მათი ტექნიკური მომზადება საგრძნობლად ჩამორჩებოდა იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, გერმანიის წამყვან ველოსიპედისტთა ოსტატობას. ეს განსხვავება განსაკუთრებით საგრძნობია ტრეკზე, სადაც ჩვენი სპორტსმენების მაჩვენებლები ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას.

## პირველი წარმატებები

როგორც ყოველთვის, მოულოდნელი შედეგებით დაიწყო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. ყველაზე უფრო სენსაციური გამოდგა მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონის ვირუპაევის დებიუტი რომში. პირველ წრეში იგი შეხვდა ნაკლებად ცნობილ ავსტრიელ მოჭიდავეს. 12 წუთის მანძილზე მეტოქეებმა ვერაფერი მოუხერხეს ერთმანეთს. ავსტრიელი გაურბოდა ბრძოლის გამწვავებას, საბჭოთა მოჭიდავე აქტიურობდა, მაგრამ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება მან ვერ შეძლო და შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

უმძიმეს წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა კოჩერგინმა მეშვიდე წუთზე წმინდად მოუგო ბრძოლა თურქეთის გუნდის წევრს კასიმას. წმინდად მოიგო თავისი პირველი შეხვედრა ო. კარავაევმაც (მძიმე წონა). კარგად დაიწყო ტურნირი მსუბუქ წონაში ქორიძემ, რომელმაც დაამარცხა იტალიელი დე სილვა. ქვესაშუალო წონაში ერთი გამარჯვება აქვს გამარნიკს.

## ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები

რომში კარგად მომზადებულები ჩამოვიდნენ ამერიკელი მოცურავეები. ისინი სერიოზულ კონკურენციას უწევენ ავსტრალიელ ფავორიტებს. წინასწარ იმის თქმა, თუ ვის დარჩება გამარჯვება, ძნელია, მაგრამ გაცურვების შემდეგ უპირატესობას ამერიკელები ინარჩუნებენ.

ასე მაგალითად: წინასწარ შეჯიბრებაში ვაჟთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ამერიკელმა ლ. ლარსენმა. მისი დრო — 55,4 სულ 0,3 წამით უარესია ოლიმპიურ რეკორდზე. აღსანიშნავია, რომ მელბურნის თამაშებში გამარჯვებული სპორტსმენის ავსტრალიელი ჰენრიკსის შედეგიც 55,4 იყო. თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდნენ ამ სახეობაში საბჭოთა მოცურავეები ლუცკოვსკი და სოროკინი. მიუხედავად ამისა, ისინი ნახევარფინალში გავიდნენ.

წარმატებას მიაღწია 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ქალთა შორის გერმანელმა უზელმანმა. მან დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი — 2.52,0.

ოლიმპიადის დაწყებამდე, უფრო სწორედ, რომში ჩამოსვლამდე ამერიკელ მოცურავეს ფონ ზალტცეს არვინ იცნობდა. დღეს კი მისი გვარი იტალიაში ისეთივე პოპულარულია, როგორც ი. კონრადსის ან ლ. კრეპის. ზალტცემ უძლიერესი მოცურავის რეპუტაცია განამტკიცა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის წინასწარ შეჯიბრებებშიც. მან დისტანცია დაამთავრა 1.01,9, ეს შედეგი ახალი ოლიმპიური რეკორდია. ძველი რეკორდი, რომელიც ავსტრალიელ მოცურავეს ლ. კრეპს ეკუთვნოდა, იყო — 1.03,4.

ზ. ჯაფარიძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი რომის ოლიმპიურ თამაშებზე




**კლასიკური ჭიდაობა** — ჩუჩალოვმა (სსრკ) დაამარცხა იზრაელსონი (შვეცია), კარტოზიამ (სსრკ) — ჯორჯი (აშშ), ბოგდანმა (სსრკ) — თარი (თურქეთი), ვირუპაევმა — ჰოლოში (უნგრეთი), კოჩერგინის (სსრკ) და ვილსონის (აშშ) შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

**წყალში ხტომა** — სამმეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის ოქროს მედალი მოიპოვა გერმანელმა ი. კრემერმა — 155,88 ქულა. ნ. კრუტოვა (სსრკ) მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

**ცურვა** — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შემდგომი ბრძოლის უფლება დაკარგა უ. ვოოგმა (სსრკ). კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე აშშ-ს გუნდმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.08,2.

**კალათბურთი** — იუგოსლავია-საფრანგეთი — 62:61, ბულგარეთი-ჩეხოსლოვაკია — 75:69.

**კრივი** — თავიანთი პირველი შეხვედრები მოიგეს ხივკომ, ნიკანოროვმა, როდონიაკმა, ფეოფანოვმა.

**ფეხბურთი** — უნგრეთი-ინდოეთი — 2:1, პოლონეთი-ტუნისი — 6:1.

**წყალბურთი** — საბჭოთა კავშირ-არგენტინის გუნდების შეხვედრაში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ჩიქვანაიამ (3).



# მინსკის ზონალური სპარტაკიადა მოგებულია

საქართველოს მოსწავლე სპორტსმენების მიერ სამი დღის შემდეგ მოპოვებული უპირატესობა რამდენჯერმე იყო საფრთხის წინაშე. განსაკუთრებით მასპინძლები — ბელორუსელი თანატოლები მიიწევდნენ შეუპოვრად საერთო პირველი ადგილისაკენ, მაგრამ მათი ცდა ამაო გამოდგა.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ლატვიელი და ესტონელი მოსწავლეებიც. რომლებმაც სპარტაკიადის მეოთხე დღისათვის საკმაოდ გაუსწრეს აზერბაიჯანს, სომხეთს, მოლდაველს და მიუახლოვდნენ ლიდერებს, მაგრამ ლატვიელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ საერთო მესამე ადგილი მოიპოვეს.

განსაკუთრებით საინტერესო იყო შეჯიბრება ტანვარჯიშში ბელორუსიისა და საქართველოს გუნდებს შორის. მინსკელმა ე. ვოლჩიცკაიამ, რომელიც გოგონათა შორის სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ ოსტატთა პროგრამით ლიდერობდა, ნებისმიერ ვარჯიშებშიც შეინარჩუნა უპირატესობა, მოაგროვა 75,35 ქულა და პირველი ადგილი გაინაღდა. ქუთაისელი ე. ბენიძე შედეგით 74,1 მეორე ადგილზე დარჩა. მოზარდთა I თანრიგოსანთა შეჯიბრებაში მ. პოპიაშვილი მესამეზე გამოვიდა, მართალია, საქართველოს გოგონებიდან ვერავინ შეძლო პირადი პირველი ადგილის მოპოვება, მაგრამ გუნდურში მაინც არავის დაუთმეს გამარჯვებულის სახელი.

უკეთეს შედეგებს მიაღწიეს ვაჟებმა. ოსტატთა პროგრამით სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ნ. ფალავანდიშვილი, მოზარდთა I თანრიგში მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს ვ. კორინთელმა და რ. გოგისვანიძემ და პირველი ადგილი მოუტანეს გუნდს.

26 რეკორდით აღინიშნა მძლეოსანთა შეჯიბრება, მათ შორის სამი საკავშირო იყო. ვ. სხულუხიამ 100 მეტრზე რბენაში აჩვენა 10,9 და მეორე ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა რვაჭიდში ვ. ლომინაძე — 4.323 ქ, ხოლო მ. პაპიაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა გოგონათა შორის 100 მეტრზე რბენაში — 12,2. საქართველოს წარმომადგენლებიდან ცალკეულ სახეობაში თავი ისახელეს ველოსიპედისტმა გოგონებმა (I ადგილი). ჭაბუკები IV ადგილზე დარჩნენ.

ფეხბურთელთა ფინალურ ტურნირში კვლავ ცუდად ითამაშეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა. დაამარცხეს რა ბელორუსია ანგარიშით 2:0, უკანასკნელი შეხვედრა წააგეს აზერბაიჯანთან — 1:2 და მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ. თითქმის იგივე განმეორდა წყალბურთშიც, სომხეთთან წაგების (2:1) გამო, ჩვენი წყალბურთელები ჩამორჩნენ ბელორუსიას და იძულებული გახდნენ მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყვნენ.

დაძაბულობით ხასიათდებოდა კალათბურთელთა მთელი ტურნირი, როგორც ნაკრებ, ისე სასკოლო კოლექტივებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ჭაბუკებს საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდათ, ფინალში ყველა შეხვედრა მოიგეს, მაგრამ იმის გამო, რომ წინასწარ შეხვედრებში მათ დამარცხება ჰქონდათ ლატვიელებთან, მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ. გოგონათა გუნდმა დაიკავა IV ადგილი, აქ ჩემპიონი გახდა ლატვიის კოლექტივი. სასკოლო კოლექტივების შეჯიბრებაში ქუთაისის მე-3 სკოლის ჭაბუკთა გუნდმა მოიპოვა — მესამე, ხოლო თბილისელმა გოგონებმა IV ადგილი.

საინტერესო და მეტად დაძაბული გამოდგა ფრენბურთელ ვაჟთა ფინალი საქართველოსა და აზერბაიჯანის გუნდებს შორის. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში გატეხეს აზერბაიჯანელთა წინააღმდეგობა, მოიგეს შეხვედრა — 3:2 და მასთან პირველობაც. გოგონები მე-4 ადგილზე არიან.

ტყვიით სროლაში, წყალში ხტომასა და მაგიდის ჩოგბურთში ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს მესამე ადგილები. ტყვიით მსროლელთა პირად პირველობაზე ო. თოფურიძემ სტანდარტში მოაგროვა 548 ქ. და მესამე ადგილი დაიკავა, წრიულა სროლაში 1-2 ადგილები გაიყვეს ზ. ბაბალაშვილმა და ა. სეფერთელიძემ — 194 ქ თითოეულს.

მოცურავეთა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 ჭაბუკებმა დაიკავეს პირველი, გოგონებმა III ადგილი. ნებისმიერი სტილით ესტაფეტაში 4×200 მ. ჭაბუკებმა I, ხოლო გოგონებმა 4×100 — II ადგილი. ნებისმიერი სტილით ცურვაში 400 მეტრზე გოგონებში მეორე იყო ლ. ბერძენიშვილი, ჭაბუკებში მესამეზე გამოვიდა ე. თოფურია.

ამრიგად, შეჯამდა მოსწავლეთა მინსკის ზონალური სპარტაკიადის შედეგები. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საქართველოს სპორტსმენებმა, რომლებმაც მიიღეს 78 საჯარიმო ქულა, მეორეზე გამოვიდა ბელორუსიის — (87,5), მესამეზე — ლატვიის — (103 ქულა) კოლექტივები.

ნ. გიგაური,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

* * *

**სურათზე:** ტანვარჯიშში მეორე ადგილზე გამოსული ე. ბენიძე.



# დღეს მეშახტის დღეა,

## ფიზკულტურული სალამი სოციალისტური სამშობლოს უანგარო მუშაკებს!

## ს უ რ ა მ ი

კვების მრეწველობის პროფკავშირის სურამის პიონერთა ბანაკის დამსვენებელთა მიერ მოწყობილ საცურაო აუზში ჩატარდა კურორტას პიონერთა ბანაკების შეჯიბრება ცურვაში.

პატარების შეჯიბრება ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. აღიმართა პირველობის ალამი. გათამაშება დაიწყო ორ ასაკობრივ ჯგუფად.

### ქალაქებსა და რაიონებში

უმცროსები გამოდიოდნენ 25 მეტრზე ცურვაში. აქ გამარჯვება მოიპოვა კვების მრეწველობის ბანაკის გუნდის წევრმა მ. ლასხიშვილმა, რომელმაც დისტანცია გაცურა 25,2 წამში.

უფროს ასაკში თვითეულ გუნდს გამოყავდა 3-3 მონაწილე, ხოლო ჩათვლაში კი შედიოდა 2 საუკეთესო მაჩვენებელი. აქ პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო სახელმწიფო ვაჭრობის პიონერთა ბანაკის გუნდის წევრი ი. მათითაიშვილი — 37,2 წამი.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ კვების მრეწველობის პროფკავშირების პიონერთა ბანაკის სპორტსმენები, მეორე ადგილზე არიან სახელმწიფო ვაჭრობის, ხოლო მესამეზე — ადგილობრივი მრეწველობის მეორე ბანაკის მოცურავეები.

შეჯიბრების დასასრულს მთავარმა მსაჯმა კ. ნადირაძემ გამარჯვებულებს გადასცა სიგელები.

**შ. ხამაღაშვილი**

## სოხუმელებმა მიიღეს აუზი

**სოხუმის ფიზკულტურელებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი — საექსპლოატაციოდ გადაეცა დოსააფის საზაფხულო საცურაო აუზი, რომელშიც შეიძლება ჩატარდეს ყველა სახის შეჯიბრება. 50-მეტრიანი აუზი რვა ბილიკით აშენდა სოხუმის ახალ ზღვისპირა პარკში. აქ ამას წინათ ჩატარდა შეჯიბრება, რომლის დროსაც სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშებმა რ. აფაქიძემ და რ. პეტროსიანმა დაამყარეს აფხაზეთის ახალი რეკორდები. ახალი რეკორდით აღინიშნა ვ. ზლობინის გამოსვლაც 400 მეტრზე ცურვაში. დასასრულს მოეწყო თბილისის ახალგაზრდული და სოხუმის ნაკრები გუნდის წყალბურთელთა მატჩი. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:3.**

**სურათზე:** ახალი აუზის ხედი.

ფოტო და ტექსტი ვ. სემიონოვისა.

# როსტოვის ნახევარფინალი

საბჭოთა კავშირის XXVIII საჭადრაკო პირველობის დონისროსტოვის ნახევარფინალურ ჯგუფში, სადაც გამარჯვებისათვის იბრძვის 18 სპორტსმენი, უკვე გათამაშდა 5 ტური. სტარტიდანვე დაწინაურდა საერთაშორისო ოსტატი ვილნიუსელი რ. ხოლმოვი, რომელმაც სამ პარტიაში ზედიზედ დაამარცხა კატალიმოვი, რეშკო და კუზნეცოვი. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება გროსმაისტერი ბ. სპასკი და ახალგაზრდა კ. შიშკინი (ლენინგრადი).

ცუდად დაიწყო შეჯიბრება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ბ. გურგენიძემ. პირველ ტურში იგი შავებით ეთამაშებოდა ვოლოვიჩს. პარტიაში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. გურგენიძე ამაოდ ეძებდა მოგების გზებს, დროს გადააცილა, რისთვისაც წაგება მიესაჯა. მეორე ტურში გურგენიძის წინააღმდეგ თამაშობდა ალმა-ატელი ოსტატი კატალიმოვი, მოწინააღმდეგეებმა თავი აარიდეს ბრძოლის გართულებას და ყაიმით დაკმაყოფილდნენ, გურგენიძემ ყაიმით დაამთავრა თავისი მორიგი შეხვედრა ოსტატ რეშკოსთანაც.

მეოთხე ტურში გურგენიძე, რომლის წინააღმდეგ შავებით თამაშობდა ოსტატობის კანდიდატი, მოსკოველი კუზნეცოვი, კვლავ ყაიმით დაკმაყოფილდა. ხოლო ზაიცევთან (მეხუთე ტურის პარტიაში) იძულებული გახდა თავი დამარცხებულად ეცნო.

ხუთი ტურის შემდეგ ტურნირს ლიდერობენ რ. ხოლმოვი და ბ. სპასკი.

### ფეხბურთი

დაიწყო მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში იმ გუნდებს შორის, რომლებიც იბრძვიან მე-13 და მომდევნო ადგილებისათვის.

კუიბიშევის „კრ. სოვეტოვმა" თავის მინდორზე დამარცხება განიცადა ალმა-ატის „კაირატთან" შეხვედრაში — 0:1.

ხარკოვის „ავანგარდმა" მოუგო ტაშკენტის „პახტაკორს" — 4:0.

### გათამაშება განახლდა

25 აგვისტოს განახლდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. ოდესის არმიელთა გუნდმა საკუთარ მინდორზე მიიღო სტალინგრადის „ტრაქტორი" და ანგარიშით 1:0 დაამარცხა იგი.

ამ გამარჯვებით ოდესელი ფეხბურთელები გავიდნენ ნახევარფინალში.

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ა ს ზ ე

25 აგვისტოს შედგა მეოთხედფინალური მატჩები საქართველოს თასზე ფეხბურთში.

ფოთის „კოლხეთმა" თავის მინდორზე მიიღო ლანჩხუთის „გურია". სტუმრებმა ძლიერად დაიწყეს თამაში და პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 3:0. შესვენების შემდეგ ფოთელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა და მცირე ხანში გაქვითეს ორი გოლი — 2:3, მაგრამ ამის შემდეგ „კოლხეთის" თავდამსხმელმა ლაზარევმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა და ცარიელ კარს ააცილა ბურთი. ამის შემდეგ ლანჩხუთელებმა კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 5:2.

ჭიათურის „მაღაროელმა" თავის მინდორზე მიიღო თბილისის „სინათლე". ჭიათურელთა თავდამსხმელმა ბლიაძემ მატჩის დასაწყისში გახსნა ანგარიში და ეს უპირატესობა გუნდმა შეინარჩუნა ტაიმის დასასრულამდე. მეორე ნახევარში თბილისელებმა შეძლეს თავიანთი უპირატესობის რეალიზაცია და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა მატჩი მახარაძეში ადგილობრივ „სიხარულსა" და ჩოხატაურის „ბახმაროს" შორის. მასპინძლებს ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ პირველი ბურთი გაიტანეს არა მათ, არამედ სტუმრებმა (კუტუბიძე) შემდგომში ნინუამ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაქვითა გოლი, ხოლო დასასრულისათვის მახარაძელებმა გაიტანეს კიდევ ორი გოლი და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

გორის „დილასა" და ბათუმის „განთიადის" შეხვედრაში ანგარიში კარგა ხანს არ გახსნილა. მხოლოდ მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას აკლდა 3 წუთი, შეძლეს მასპინძლებმა გადამწყვეტი ბურთის გატანა — 1:0.

31 აგვისტოს შედგება ნახევარფინალური მატჩები: „გურია" (ლანჩხუთი)-„სინათლე" (თბილისი) და „დილა" (გორი)-„სიხარული" (მახარაძე).



ვილნიუსში დამთავრდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სპორტსმენთა VI საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც წინა წელთან შედარებით საკმაო მაღალი შედეგებით აღინიშნა. დამყარებული იქნა „შრომით რეზერვების" ცენტრალური საბჭოს 8 რეკორდი. მონაწილეთა დიდმა ნაწილმა აჩვენა მაღალი თანრიგების შედეგები.

შეჯიბრების მონაწილე გუნდები დაყოფილი იყვნენ 3 ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოსკოვი, ლენინგრადი, რსფსრ და უკრაინა გამოდიოდნენ 16 სახეობაში, ხოლო მეორე ჯგუფში, სადაც ესტონეთთან, ლიტვასთან, ბელორუსიასთან, აზერბაიჯანთან, ყაზახეთთან და უზბეკეთთან ერთად გამარჯვებისათვის იბრძოდნენ საქართველოს წარმომადგენლები, პროგრამაში იყო 12 სახეობა.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა მოაგროვეს 159 ქულა და გამარჯვება მოიპოვეს მეორე ჯგუფში, მაშინ, როცა შარშანდელ სპარტაკიადაში მერვე ადგილზე იმყოფებოდნენ. წარმატება ხვდათ წილად მოჭიდავეებს. კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენმა გუნდმა ყველა წონაში ძლიერად ჩაატარა შეხვედრები და მოიპოვა ჩემპიონობა, წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ქვემსუბუქ წონაში —ო. მელაშვილი, ქვესაშუალოში — ნ. ფილიშვილი, საშუალოში — ტ. გელაძე, ქვემძიმეში — ო. ბლიაძე და მძიმეში — კ. სევასტოვი. საპრიზო ადგილები მოიპოვეს ა. გონაძემ, დ. სეფიაშვილმა,

გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიდან საშუალო და ქვესაშუალო წონის მოჭიდავეებმა ოგანეზოვმა და მჭედლიშვილმა პირველი ადგილები მოიპოვეს, ხოლო ონიკაშვილმა და იზორიამ — საპრიზო ადგილები.

კარგად გამოვიდნენ ფრენბურთელი ვაჟებიც, რომლებმაც თავიანთ ქვეჯგუფში ერთნაირი ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს მოსკოვისა და უკრაინის ძლიერი გუნდები და გავიდნენ ფინალში. აქ ისინი ჩამორჩნენ მხოლოდ ლატვიისა და რსფსრ-ს გუნდებს.

გუნდურ ჩათვლაში მე-3 საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ წყალში მხტომელი გოგონები, ხოლო ჭაბუკები მეოთხეზე. პირად ჩათვლაში მესამე ადგილი მოიპოვეს სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ს. იაცკევიჩმა — გოგონათა შორის და მ. ბაკრინმა — ჭაბუკებში.

თუ გადავხედავთ მძლეოსანთა მაჩვენებლებს, სადაც საქართველო მარტო ჭაბუკთა გუნდით გამოდიოდა, იგი ცუდი არაა. საქართველოს გუნდის წევრთა მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია გ. კვესიტაძის (ბირთვის კვრა), ს. სიდელნიკოვის (თარჯრბენი 200 მეტრზე) ა. ბაგეაშვილის (უროს ტყორცნა) მიერ მოპოვებული მესამე საპრიზო ადგილები.

საბაიდარო ნიჩბოსნობაში ჩვენმა გუნდმა უკრაინასთან ერთად გაიყო V-VI ადგილები (აქ მესამე ადგილზე გამოვიდა ს. ციცქიშვილი. კოლესნიკოვის წყვილი 500 მეტრზე რბოლაში).

I თანრიგის ჭაბუკ აკრობატთა შეჯიბრებაში ი. მახარაძემ დაიკავა მე-3 ადგილი, ხოლო ძალისმიერ წყვილში მე-2 ადგილი მოიპოვეს, ნ. გალეგოვამ-ა. სიმონიანმა. გუნდმა დაიკავა საერთო IV ადგილი. ტანმოვარჯიშეები და ფეხბურთელები გამოვიდნენ მე-5 ადგილებზე, წყალბურთელები გამოვიდნენ მე-6 ადგილზე, მაგიდის ჩოგბურთელები მეშვიდეზე.

კიდევ უფრო ცუდად გამოვიდნენ მოცურავეები და ველოსიპედისტები. აქ ადგილი ჰქონდა მონაწილეთა დაუდევრობას. მაგალითად მ. სნადნოვმა, „განაწყენდა" რა იმით, რომ 100 მეტრზე ცურვაში ჩემპიონობა დაკარგა, მეორე დღეს არ ისურვა სტარტზე გამოსვლა, რის გამოც გუნდმა რამდენიმე ადგილით დაიწია უკან. ველოსპორტში ჭაბუკთა გუნდურ შეჯიბრებაში ე. შაინოვმა არასათანადოდ შეაფასა საკუთარი ძალები, ანგარიში არ გაუწია გუნდს, შეფასების გარეშე დატოვა იგი. და ეს მაშინ, როცა შაინოვმა 50 კმ-ზე პირად შეჯიბრებაში აჩვენა საკმაო მაღალი შედეგი — 1:16. 35 და მეორე ადგილი დაიკავა.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა საქართველოს „შრომითი რეზერვების" სპორტსმენებმა მაინც შეძლეს თავიანთ ჯგუფში გამარჯვების მოპოვება, და თუ არა ზემოაღნიშნული ხარვეზები, მათი შედეგები კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა.

### ფეხბურთი

**ტალინი. 25 აგვისტო.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა პირველი ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „დინამო" (ტალინი)-„ლოკომოტივი" (თბილისი).

თბილისელებმა მიაღწიეს კიდევ ერთ გამარჯვებას — 1:0.

* * *

გუშინ რუსთავში, ადგილობრივ „მეტალურგი" შეხვდა კიროვაბადის „ტექსტილშჩიკს".

რუსთაველებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

### ქუთაისელებმა კვლავ გაიმარჯვეს

**ქაბული. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).** 25 აგვისტოს ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებს აქ ჰქონდათ მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ადგილობრივ „მოარესთან".

ქუთაისელებმა კვლავ გაიმარჯვეს ანგარიშით 6:2.

## საზღვარგარეთის ამბები

# 1966 წლის მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

22 აგვისტოს რომში შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, სადაც განხილულ იქნა ძირითადი საკითხი — მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების ადგილის შესახებ.

გათამაშების ორგანიზატორობაზე პრეტენზია ჰქონდა სამ ქვეყანას: ინგლისს, ესპანეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. უკანასკნელ მომენტში, კონგრესის სხდომის დაწყების წინ ესპანეთმა მოხსნა თავისი კანდიდატურა და კენჭისყრაზე გავიდნენ ინგლისი და გფრ. ინგლისელებმა მიიღეს 34 ხმა, გერმანელებმა 27, ხოლო 6 დელეგატმა თავი შეიკავა.

სწორედ იმ ხანებისათვის დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე განზრახულია ფეხბურთის 100 წლისთავის ზეიმი. ამ დიდ დღესასწაულს ინგლისელები იწყებენ 1963 წლიდან და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი მისი კულმინაცია იქნება.

ისევე, როგორც წინა წლებში, მატჩები წინასწარ ქვეჯგუფებში ჩატარდება სხვადასხვა ქალაქში (ლ ო ნ დ ო ნ ი, მანჩესტერი, ლივერპული, შეფილდი ნიუკასლი, სანდერლენდი და ბირმინჰამი), რომლებიც ფეხბურთის ცენტრებად ითვლებიან. ფინალური მატჩი გაიმართება თვით ლონდონში.

მეტად საგულისხმოა ფიფა-ს კონგრესის გადაწყვეტილება, საგანგებო მოწოდება დაეგზავნათ ყველა ქვეყნის ეროვნული ფედერაციებისათვის, რათა მათ აღკვეთონ რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინება თავიანთ რიგებში. კონგრესის დადგენილებაში ა ს ე წერია: „მომავალში არც ერთი ეროვნული ფედერაცია, რომელიც თავის მუშაობას აგებს რასობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე, არ დაიშვება ფიფა-ს შემადგენლობაში.

ეს დადგენილება მიღებულ იქნა სამხრეთ აფრიკის კავშირის საფეხბურთო ცხოვრებაში არსებული რასობრივი უკანონობის განხილვისას.

• • •

რომშივე გაიმართა ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირის (უეფა) გენერალური ასამბლეა, რომელმაც მთელი რიგი ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების დებულებაში. კერძოდ, წინასწარ თამაშებში მონაწილეთა დაყოფა გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით შეიცვლება უბრალო კენჭისყრით. ამის წყალობით აღარ გამეორდება ერთიდაიგივე ქვეყნების ჩემპიონთა ყოველწლიური შეხვედრები. გარდა ამისა, დადგინდა, რომ მეოთხედფინალიდან დაწყებული ტურნირში მონაწილეობის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც კანონიერად გააფორმეს თავიანთი გადასვლა მოცემულ კლუბში არა უგვიანეს 3 თვისა გათამაშების შესაბამისი ეტაპის დაწყებამდე.

უეფა-მ დაადგინა, რომ ტურნირში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში გუნდის მოწინააღმდეგე პირდაპირ გადის შემდგომ ეტაპში, ხოლო უარის მთქმელ კლუბს დაედება ჯარიმა. ფულადი გადასახადი განისაზღვრება იმით, თუ გათამაშების რომელ ეტაპზეა ნათქვამი უარი. ჰოლანდიის წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება, რომ ეროვნულ ფედერაციებს უფლება მიეცეთ შეცვალონ თავიანთი ჩემპიონი ან მეორე პრიზიორი სხვა რომელიმე გუნდით. ამ წინადადებას უარი ეთქვა.

მხარდაჭერა ვერ ჰპოვა აგრეთვე პორტუგალიის ფედერაციის წინადადებამ — ნება მიეცეს გუნდებს შეცვალონ მეკარე (მთელი მატჩის მანძილზე) და მინდვრის ერთი მოთამაშე (პირველ ტაიმში) ევროპის პირველობაზე მოზარდთა გუნდებს შორის.

## ატლანტიკის თასზე

დიდი ინტერესი გამოიწვია ბრაზილიის, არგენტინისა და პარაგვაის ფეხბურთელთა შეჯიბრებამ ე. წ. „ატლანტიკის თასზე". აღსანიშნავია, რომ 1958 წლის შემდეგ ეს პირველი შეჯიბრებაა, სადაც ბრაზილიის ნაკრები მონაწილეობს თავისი „შვედური" შემადგენლობით. ტურნირის პირველივე მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა. მონტევიდეოში, 65 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ურუგვაელებმა მიიღეს მსოფლიო ჩემპიონები. მართალია, ბრაზილიელებს ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მათ ვერაფერი დააკლეს მასპინძელთა უაღრესად შეუპოვარ დაცვას. აშკარად იგრძნობოდა პელეს დაღლილობა ევროპაში ხანგრძლივი მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ. პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ. მეორე ტაიმის დასაწყისში ურუგვაელთა მარჯვენა გარემარბმა პერესმა შეძლო ერთადერთი ბურთის გატანა.

ცუდად დაიწყო ბრაზილიელებისათვის მატჩი ასუნსიონში გათამაშების აუტსაიდერის — პარაგვაის ნაკრების წინააღმდეგ. პირველი ტაიმის წაგების (0:1) შემდეგ ბრაზილიელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა, გაიტანეს 2 ბურთი და მოიპოვეს ძნელი გამარჯვება. მესამე შეხვედრა ბრაზილიელებმა ჩაატარეს რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას" სტადიონზე თავიანთი ძირითადი „მტრების" — არგენტინელთა წინააღმდეგ. არგენტინელებმა ნაკრებში კვლავ შეიყვანეს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ „შერისხული" ფეხბურთელები მენანდესი და როსი. მაგრამ ამან მათ ვერ უშველა. ბრაზილიელებმა, რომლებმაც ბრწყინვალედ ჩაატარეს მატჩი, ნამდვილი „ნოკაუტი" გაუკეთეს სტუმრებს — 5:1. ასეთმა დამარცხებამ არგენტინაში დიდი ხმაურება გამოიწვია. გაზეთ „ინტერნაციონალეს სპორტ-ეხოს" მიმომხილველ ა. იულინხოს ცნობით, არგენტინელთა მწვრთნელ გ. სტაბილეს „დღეები დათვლილია".

დღეისათვის შეჯიბრებას ლიდერობენ ურუგვაელები. ისინი ბუენოს-აირესში უნდა შეხვდნენ არგენტინას და ერთი ქულის მოპოვების შემთხვევაშიც კი მოიგებენ „ატლანტიკის თასს". ამდენივე ქულა—4, აქვთ ბრაზილიელებსაც, მაგრამ მათ უკვე დაამთავრეს შეჯიბრება.

## ნიმცოვიჩის ხსოვნის ტურნირზე

კოპენჰაგენში დამთავრდა ნიმცოვიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, სადაც მთელი თამაშის მანძილზე ლიდერობდა საბჭოთა გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი. მე-12 ტურში პეტროსიანი შეხვდა შვედ გროსმაისტერს შტალბერგს, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში ეწეოდა ლიდერს. შტალბერგი შავებით მამოდ ცდილობდა პარტიის გართულებასა და ხელსაყრელი პოზიციის მიღებას. პეტროსიანმა კარგად ჩაატარა დაბოლოება და გაიმარჯვა. ბოლო ტურში პეტროსიანი ყაიმზე შეუთანხმდა ობრანს, მოაგროვა 11,5 ქულა 13 შესაძლებლიდან და პირველ ადგილზე გავიდა. 10,5 ქულით მეორე ადგილზეა საბჭოთა გროსმაისტერი ე. გელერი, შტალბერგი დარჩა მესამე ადგილზე.



თბილისის სპორტის სასახლის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

**სურათზე:** მებეტონეთა ბრიგადირი კ. გოგნიაშვილი თავის ბრიგადის წევრებს შესვენების დროს უკითხავს ახალ გაზეთს.

ფოტო დ. ნანობაშვილისა.

## დამტკიცდა საბჭოთა ნაკრები

საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 16 ოქტომბრიდან ლაიპციგში (გდრ) გამართულ მე-14 მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში.

ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში დაფების მიხედვით ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონი მ. ტალი (რიგა), მსოფლიო ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი (მოსკოვი), სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კორჩნოი (ლენინგრადი) და პრეტენდენტთა გასული ტურნირის მეორე პრიზიორი პ. კერესი (ტალინი). გუნდში სათადარიგოდ შეყვანილი არიან მსოფლიო ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი და გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი (ორივე მოსკოვიდან).

## ჩინელ მძლეოსანთა 3 რეკორდი

როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, პეკინში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე 3 შესწორება იქნა შეტანილი ქვეყნის რეკორდების ცხრილში. 21 წლის გან ჩუ-პეიმ სიმაღლეზე ხტომაში დაძლია 209 სმ. ტიან ჩან-ჩუნჩა სამხტომში 18 სანტიმეტრით გააუმჯობესა ძველი რეკორდი. მისი შედეგია 16 მეტრი. მესამე რეკორდი დამყარებული იქნა უროს ტყორცნაში. იგი უდრის 57 მ, 42 სმ და ეკუთვნის ბი ხუნ-ფუს.

რედაქტორი ი. უგულავა.

ხვალ! ს. მ. კიროვის სახ. პარკის კალათბურთის დახურული მოედანი ხვალ!

საკავშირო პირველობა კალათბურთში ქალთა შორის

სპი (თბილისი) — სკიფი (ლენინგრადი)

დასაწყისი 20 საათზე.

დღეს! „ბურევესტნიკის" სტადიონი დღეს!

საკავშირო პირველობა ფეხბურთში „ა" კლასის გუნდებისათვის

„დინამო" (თბილისი) — „ბელარუსი" (მინსკი)

დასაწყისი 18 საათზე.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას ინსტიტუტთან არსებული ორწლიანი მწვრთნელთა სკოლის საღამოს განყოფილებაზე.

მწვრთნელთა სკოლის აღნიშნულ განყოფილებაზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, ასაკის განუსაზღვრელად (საშუალო განათლება აუცილებელია).

მწვრთნელთა სკოლის საღამოს განყოფილებაზე სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე, 2. ავტობიოგრაფია, 3. ატესტატი (დედანი), 4. დახასიათება სამუშაო ადგილიდან, 5. ცნობა სამუშაო ადგილიდან, 6. პასპორტი და სამხ. ბილეთი (წარედგინება პირადად), 7. ოთხი ფოტოსურათი, 8. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: 1. სპეციალობაში (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა), 2. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, 3. სსრკ ისტორიაში (ზეპირი).

განცხადებების მიღება იწარმოებს 1960 წლის 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე. მეცადინეობის დასაწყისი 1960 წლის 1 ოქტომბერს.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 49, ტელ. 2-31-60.

**ინსტიტუტის დირექცია.**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34. გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისის, ლენინის ქ. № 14. უე 04349